სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

## სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | ბიზნესის ადმინისტრირება |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი |
| **სწავლების ენა** | ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით) |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | 120 ECTS (4 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2 სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს). |
| **პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი** | 17.02.2017<br>№ 01-17 |
| **პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი** | 01.09.2025<br>№04-25 |

## პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მიზნად ისახავს თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მქონე, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე გამიზნული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძენილი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, განვითარებული ინოვაციური ხედვებით შეძლებს ბიზნესში რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, პროგრესული მოდელების და ინოვაციების დანერგვას; ინკლუზიური კეთილდღეობის ზრდაში მონაწილეობას.

- სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტი, აღჭურვილი ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით, რომელიც

M1. კრიტიკულად იაზრებს ბიზნესის მართვის თეორიულ მიდგომებს და მმართველობითი საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებს; ამასთან, იძიებს და განავითრებს ახალ, ორიგინალურ იდეებს მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად;

M2. თავისუფლად ორიენტირდება სწარაფადცვალებად ბიზნესგარემოში, მათ შორის რთული ან არასრული ინფორმაციის პირობებში; კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად, მართვის ეფექტიანობის

ასამაღლებლად აანალიზებს ბიზნესის შიდა და გარე ფაქტორებს, განვითარების შესაძლებლობებს და იღებს გადაწყვეტილებას;
M3. ფართო კვლევითი ინსტრუმეტარიუმით ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის; რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებას ეფექტიანი ბიზნესის წარმართვისთვის;
M4. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ამასთან, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და არგუმენტებს და დასკვნებს წარადგენს როგორც აკადემიური, ასევე, პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;
M5. აფასებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას ბიზნესის წარმატებისა და საზოგადოების განვითარებისთვის.
M6. ბიზნესის მართვის პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკას ავითარებს საკუთრი წვლილით; ასევე, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად, მულტიდისციპლინურ სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას ახორციელებს ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით;
M7. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე იღებს პასუხისმგებლობას.

## სწავლის შედეგები

**1. ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს:

1.1. აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების და სტრატეგიული მენეჯმენტის, მენეჯერული ეკონომიკის, ბიზნესის სტატისტიკის, მეწარმეობისა და ინოვაციების მენეჯმენტის, ბიზნესგარემოს და ბაზრების, სტრატეგიული მარკეტინგმენეჯმენტის, სტრატეგიული კომუნიკაციების, ღირებულებების ჯაჭვის მართვის, ორგანიზაციული ცვლილებების, ადამიანური რესურსების მართვის, პროექტმენეჯმენტის, მმართველობითი აღრიცხვის, ფინანსური მენეჯმენტის, ბიზნესის ეთიკის და სხვა მიმართულებებს;

1.2. ბიზნესის ეფექტიანი ადმინისტრირებისათვის აცნობიერებს მმართველობითი საქმიანობის სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების და ინოვაციური, ორიგინალური იდეების განვითარების საჭიროებას;

1.3. აცნობიერებს პასუხისმგებლობის აღების საჭიროებას და ვალდებულებას ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში.

**2. უნარი**

კურსდამთავრებული:

2.1. თავისუფლად ორიენტირდება სწარაფადცვალებად ბიზნესგარემოში, მათ შორის რთული ან არასრული ინფორმაციის პირობებში;

2.2. ბიზნესის ადმინისტრირების რთული პრობლემების გადასაწყვეტად იძიებს და იყენებს ახალ, ორიგინალურ იდეებს; ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აფასებს კონკრეტულ ბიზნესსიტუაციას და იღებს ადეკვატურ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას;

2.3. დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ახორციელებს კვლევას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში;

2.4. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არგუმენტირებულად მსჯელობს და წარადგენს კვლევის შედეგებს და დასკვნებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;
2.5. აფასებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას ბიზნესის წარმატებისა და საზოგადოების განვითარებისთვის.

**3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

კურსდამთავრებულს:

3.1. საკუთარი წვლილი შეაქვს ბიზნესის ადმინისტრირების პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკაში შეძენილი ცოდნის ინოვაციური სინთეზით და პრაქტიკული ქმედებით;
3.2. ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ ცოდნას იყენებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი, მულტიდისციპლინურ სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვაში და ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით ახორციელებს ადაპტირებას;
3.3. შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის და ამასთან, აიღოს პასუხისმგებლობა სხვების პროფესიულ განვითარებაზე და მათ საქმიანობაზე.

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.sabauni.edu.ge)

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ერთ-ერთ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON, შესაბამისი შეფასებებით. ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ან სრული ერთი სემესტრი მაინც.

**შენიშვნა:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

## სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

| | |
|---|---|
| **ხუთი სახის დადებით შეფასებას:** | |
| (A) ფრიადი | შეფასების 91-100 ქულა; |
| (B) ძალიან კარგი | მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; |
| (C) კარგი | მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; |
| (D) დამაკმაყოფილებელი | მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; |
| (E) საკმარისი | მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. |
| **ორი სახის უარყოფით შეფასებას:** | |
| (FX) ვერ ჩააბარა | მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; |
| (F) ჩაიჭრა | მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |

## შეფასების ფორმები და კომპონენტები

| შეფასების ფორმები და კომპონენტები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| **შუალედური შეფასება:** | **70 ქულა** |
| 1.1 | |
| 1.2 | |
| 1.3 | |
| **დასკვნითი შეფასება** | **30 ქულა** |
| დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა | 30 |
| **სულ** | **100 ქულა** |

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

## დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ღრმა და სისტემური კომპეტენციებით და კვლევის უნარებით აღჭურვილი ბიზნესის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბიზნესის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციაში, არასამთავრობო ორგანიზაციასა და გაერთიანებაში საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერად, ექსპერტად და ანალიტიკოსად. სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნა, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის გაცნობიერება და განვითარებული უნარები მას, ასევე, მისცემს შესაძლებლობას, რელევანტურად დასაქმდეს სახელმწიფო ორგანიზაციაში.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

**შენობა-ნაგებობები** - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და

უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

**ბიბლიოთეკა** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO; HeinOnline, Elsevier, UpToDate). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე** - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

## სწავლების ორგანიზების თავისებურებები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერ-ძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 120 კრედიტიანია და ითვალისწინებს სასწავლო (90 კრედიტი) და კვლევით (30 კრედიტი-სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) კომპონენტებს.

90 კრედიტი ასე ნაწილდება: 78 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები და 12 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები.

სავალდებულო სასწავლო კურსები იძლევა ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი კომპეტენციების გაღრმავებულად დაუფლების შესაძლებლობას.

არჩევითი სასწავლო კურსები შეთავაზებულია მეორე და მესამე სემესტრში და შესაძლებელია არჩევა წინაპირობების დაცვით როგორ მოცემული საგანამანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული არჩევითი კურსებიდან, ასევე უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან.

არჩევითი კურსები მრავალმხრვია და მაგისტრანტს, ინტერსის გათვალისწინებით, შეუძლია სპეციფკური ცოდნისა შეძენა/გაღრმავება და უნარების განვითარება გლობალური და სამეწარმეო ხედვის, ინოვაციური მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, სტრატეგიის, ანალიზის, ადამიანური რესურსების მართვის, მდგრადი განვითარებისა და ცირკულარული ეკონომიკის, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის და სხვა მიმართულებით.

არჩევითი კურსების/კრედიტების ფარგლებში მაგისტრანტს შეუძლია მეორე ან მესამე სემესტრში 6 კრედიტის ოდენობით გაიაროს პრაქტიკა.

პროგრამის დასრულების შემდეგ  კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალის-წინებული კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება წინამდებარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესა-ბამისად არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების - პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანში კრედიტის მიღებით და პროგრამის მოთხოვნების შესრულების შედეგად.

## საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

| № | წინაპირობა | მოდული/საგანი | | ECTS კრედიტი | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I წელი | | | II წელი | | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი საათები |
| | | | სემესტრი | | | | | | |
| | | | I | II | III | IV | | | |
| | სასწავლო კომპონენტი | | | | | | | | |
| | ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | | | | | | | | |
| 1 | წინაპირობის გარეშე | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I) | 6/150 | | | | | 28 | 122 |
| 2 | წინაპირობის გარეშე | მენეჯერული ეკონომიკა (I) | 6/150 | | | | | 29 | 121 |
| 3 | წინაპირობის გარეშე | ბიზნესის სტატისტიკა (I) (P) | 6/150 | | | | | 28 | 122 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | წინაპირობის გარეშე | აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის (D) (M) (P) | 6/150 | | | | 28 | 122 |
| 5 | წინაპირობის გარეშე | გლობალური ბიზნესი (I) | 3/75 | | | | 16 | 59 |
| 6 | წინაპირობის გარეშე | მეწარმეობა და ინოვაციების მენეჯმენტი (D) | 3/75 | | | | 16 | 59 |
| 7 | წინაპირობის გარეშე | მმართველობითი აღრიცხვა და ბიუჯეტირება (I) | | 6/150 | | | 29 | 121 |
| 8 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I) | სტრატეგიული მარკეტინგმენეჯმენტი (D) | | 6/150 | | | 29 | 121 |
| 9 | წინაპირობის გარეშე | კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი (D) (M) (P) | | 6/150 | | | 28 | 122 |
| 10 | წინაპირობის გარეშე | მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები (D) (M) (P) | | 3/75 | | | 16 | 59 |
| 11 | წინაპირობის გარეშე | სტრატეგიული კომუნიკაცია (D) (M) | | 3/75 | | | 16 | 59 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I) | პროექტმენეჯმენტი (D) (M) (P) | | | 6/150 | | 29 | 121 |
| 13 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I) | ღირებულებების ჯაჭვის მართვა (D) (P) | | | 6/150 | | 28 | 122 |
| 14 | მმართველობითი აღრიცხვა  და ბიუჯეტირება (I) | ფინანსური მენეჯმენტი (D) | | | 6/150 | | 28 | 122 |
| 15 | წინაპირობის გარეშე | ცვალებადი ორგანიზაციული ქცევისა და ადამიანური რესურსების მართვის გარემო (D) | | | 6/150 | | 41 | 109 |
| 16 | ყველა სავალდებული სასწავლო კურსი (I-III სემესტრის ჩათვლით) | სამაგისტრო ნაშრომი<br>(D) (M) (P) | | | | 30/750 | 10 | 740 |
| | | | 30 | 24 | 24 | | | |
| | ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები<br>(მეორე სემესტრში - 6 კრედიტი; მესამე სემესტრში - 6 კრედიტი) | | არჩევა შესაძლებელია<br>სემესტრები | | | ECTS | | |

| # | **წინაპირობები** | **კურსის დასახელება** | I | II | III | IV | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წინაპირობის გარეშე | ლიდერობა და გუნდის მართვა (D) | | √ | | | 6/150 | 28 | 122 |
| 2 | წინაპირობის გარეშე | ბიზნესის ეთიკა (D) | | √ | | | 3/75 | 16 | 59 |
| 3 | ბიზნესის სტატისტიკა (I) | მონაცემთა ანალიზი და ბიზნესმოდელირება (M) (P) | | | √ | | 6/150 | 29 | 121 |
| 4 | სტრატეგიული მარკეტინგმენეჯმენტი (D) | საერთაშორისო ბრენდმენეჯმენტი (D) (M) | | | √ | | 3/75 | 18 | 57 |
| 5 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I) | გაყიდვების მენეჯმენტი (D) | | √ | √ | | 3/75 | 16 | 59 |
| 6 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I) | რისკების მენეჯმენტი და დაზღვევა (D) | | √ | √ | | 3/75 | 16 | 59 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I) | სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა (D) | | √ | | | 6/150 | 29 | 121 |
| 8 | წინაპირობის გარეშე | ბიზნესსამართალი (I) | | √ | √ | | 3/75 | 19 | 56 |
| 9 | წინაპირობის გარეშე | ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები (D) | | √ | √ | | 3/75 | 16 | 59 |
| 10 | წინაპირობის გარეშე | გადასახადები და მოსაკრებლები (D) | | √ | √ | | 3/75 | 20 | 55 |
| 11 | წინაპირობის გარეშე | მდგრადი განვითარება და ცირკულარული ეკონომიკა (I) | | √ | √ | | 3/75 | 16 | 59 |
| 12 | წინაპირობის გარეშე | ეკონომიკური პოლიტიკა (D) | | √ | √ | | 3/75 | 16 | 59 |
| 13 | წინაპირობის გარეშე | სახელმწიფო შესყიდვები (I) | | √ | √ | | 3/75 | 26 | 49 |
| 14 | წინაპირობის გარეშე | საჯარო და კერძო თანამშრომლობა (I) | | √ | √ | | 3/75 | 19 | 56 |
| 15 | წინაპირობის გარეშე | შრომის სამართალი და შრომითი ურთიერთობები (I) | | √ | √ | | 6/150 | 39 | 111 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I); ბიზნესის სტატისტიკა (I) (P); გლობალური ბიზნესი (I); მეწარმეობა და ინოვაციების მენეჯმენტი (D); სტრატეგიული კომუნიკაცია (D) (M) | პრაქტიკა<br>(D) (M) (P) | | √ | √ | | 6/150 | 76 | 74 |

| პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები** | **სწავლის შედეგები** |
| ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, აღჭურვილი ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით, რომელიც<br>M1. კრიტიკულად იაზრებს ბიზნესის მართვის თეორიულ მიდგომებს და მმართველობითი საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებს; ამასთან, იძიებს და განავითრებს ახალ, ორიგინალურ იდეებს მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად; | **1. ცოდნა და გაცნობიერება**<br>კურსდამთავრებულს<br>1.1. აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების და სტრატეგიული მენჯმენტის, მენეჯერული ეკონომიკის, ბიზნესის სტატისტიკის, მეწარმეობისა და ინოვაციების მენეჯმენტის, ბიზნესგარემოს და ბაზრების, სტრატეგიული მარკეტინგმენეჯმენტის, სტრატეგიული კომუნიკაციების, ღირებულებების ჯაჭვის მართვის, ორგანიზაციული ცვლილებების, ადამიანური რესურსების მართვის, პროექტმენეჯმენტის, მმართველობითი აღრიცხვის, ფინანსური მენეჯმენტის, ბიზნესის ეთიკის და სხვა მიმართულებებს;<br>1.2. ბიზნესის ეფექტიანი ადმინისტრირებისთვის აცნობიერებს მმართველობითი საქმიანობის სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების და ინოვაციური, ორიგინალური იდეების განვითარების საჭიროებას;<br>1.3. აცნობიერებს პასუხისმგებლობის აღების საჭიროებას და ვალდებულებას ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში. |
| M2. თავისუფლად ორიენტირდება სწარაფადცვალებად ბიზნესგარემოში, მათ შორის რთული ან არასრული ინფორმაციის პირობებში; კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად, მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად აანალიზებს ბიზნესის შიდა და გარე ფაქტორებს, განვითარების შესაძლებლობებს და იღებს გადაწყვეტილებას;<br>M3. ფართო კვლევითი ინსტრუმეტარიუმით ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის; რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე იღებს სტრატეგიულ | **2. უნარი**<br>კურსდამთავრებული<br>2.1. თავისუფლად ორიენტირდება სწარაფადცვალებად ბიზნესგარემოში, მათ შორის რთული ან არასრული ინფორმაციის პირობებში;<br>2.2. ბიზნესის ადმინისტრირების რთული პრობლემების გადასაწყვეტად იძიებს და იყენებს ახალ, ორიგინალურ იდეებს; ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აფასებს კონკრეტულ ბიზნესსიტუაციას და იღებს ადეკვატურ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას;<br>2.3. დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების |

| | |
|---|---|
| გადაწყვეტილებას ეფექტიანი ბიზნესის წარმართვისთვის;<br><br>M4. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ამასთან, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და არგუმენტებს და დასკვნებს წარადგენს როგორც აკადემიური, ასევე, პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;<br>M5. აფასებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას ბიზნესის წარმატებისა და საზოგადოების განვითარებისთვის. | გამოყენებით ახორციელებს კვლევას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში;<br><br>2.4. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არგუმენტირებულად მსჯელობს და წარადგენს კვლევის შედეგებს და დასკვნებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;<br><br>2.5. აფასებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას ბიზნესის წარმატებისა და საზოგადოების განვითარებისთვის. |
| M6. ბიზნესის მართვის პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკას ავითარებს საკუთრი წვლილით; ასევე, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად, მულტიდისციპლინურ სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას ახორციელებს ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით;<br>M7. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე იღებს პასუხისმგებლობას. | **3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>3.1. საკუთარი წვლილი შეაქვს ბიზნესის ადმინისტრირების პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკაში შეძენილი ცოდნის ინოვაციური სინთეზით და პრაქტიკული ქმედებით;<br><br>3.2. ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ ცოდნას იყენებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი, მულტიდისციპლინურ სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვაში და ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით ახორციელებს ადაპტირებას;<br><br>3.3. შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის და ამასთან, აიღოს პასუხისმგებლობა სხვების პროფესიულ განვითარებაზე და მათ საქმიანობაზე. |

| # | მოდული/საგანი | კურსის სტატუსი | 1.1 | 1.2 | 1.3 | 2.1 | 2.2 | 2.3 | 2.4 | 2.5 | 3.1 | 3.2 | 3.3 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები | (I) | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * |
| 2 | მენეჯერული ეკონომიკა | (I) | * | * | * | * | * | * | * | | * | * | * |
| 3 | ბიზნესის სტატისტიკა | (I) (P) | * | | | * | * | * | * | | * | * | * |
| 4 | აკადემიური წერა მაგისტრანტების თვის | (D) (M) (P) | * | * | | * | * | * | * | | | * | * |
| 5 | გლობალური ბიზნესი | (I) | * | * | * | * | * | * | * | | | | |
| 6 | მეწარმეობა და ინოვაციების მენეჯმენტი | (D) | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * |
| 7 | სტრატეგიული კომუნიკაცია | | * | * | * | * | * | * | * | * | | | * |
| 8 | მმართველობითი აღრიცხვა და ბიუჯეტირება | (I) | * | * | * | * | * | * | * | | | | |
| 9 | სტრატეგიული მარკეტინგმენეჯმენტი | (D) | * | * | | * | * | * | * | * | | * | |
| 10 | კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი | (D) (M) (P) | * | * | * | * | * | * | * | | | * | * |
| 11 | მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები | (D) (M) (P) | * | * | * | * | * | * | * | | | * | * |
| 12 | პროექტმენეჯმენტი | (D) (M) (P) | * | * | * | * | * | * | * | | | * | * |
| 13 | ღირებულებების ჯაჭვის მართვა | (D) (P) | * | * | | * | * | * | * | | * | * | |
| 14 | ფინანსური მენეჯმენტი | (D) | * | * | * | * | * | * | * | | | | |
| 15 | ცვალებადი ორგანიზაციული ქცევისა და ადამიანური რესურსების მართვის გარემო | (D) | * | * | * | * | * | * | * | * | | | |
| 16 | სამაგისტრო ნაშრომი | (D) (M) (P) | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * |

**კურსის სტატუსი**

| | | | |
|---|---|---|---|
| I – შესავალი კურსები (Introduction) | D - განმავითარებელი კურსები (Developing) | P - პრაქტიკული კურსები (Practical) | M- დაოსტატების კურსები (Master) |

| პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა | | | | |
|---|---|---|---|---|
| № | ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | ცოდნა და გაცნობიერება | უნარი | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| 1 | სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები (I) | * | * | * |
| 2 | მენეჯერული ეკონომიკა (I) | * | * | * |
| 3 | ბიზნესის სტატისტიკა (I) (P) | * | * | * |
| 4 | აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის (D) (M) (P) | * | * | * |
| 5 | გლობალური ბიზნესი (I) | * | * | |
| 6 | მეწარმეობა და ინოვაციების მენეჯმენტი (D) | * | * | * |
| 7 | სტრატეგიული კომუნიკაცია (D) (M) | * | * | * |
| 8 | მმართველობითი აღრიცხვა და ბიუჯეტირება (I) | * | * | |
| 9 | სტრატეგიული მარკეტინგმენეჯმენტი (D) | * | * | * |
| 10 | კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი (D) (M) (P) | * | * | * |
| 11 | მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები (D) (M) (P) | * | * | * |
| 12 | პროექტმენეჯმენტი (D) (M) (P) | * | * | * |
| 13 | ღირებულებების ჯაჭვის მართვა (D) (P) | * | * | * |
| 14 | ფინანსური მენეჯმენტი (D) | * | * | |
| 15 | ცვალებადი ორგანიზაციული ქცევისა და ადამიანური რესურსების მართვის გარემო (D) | * | * | |
| 16 | სამაგისტრო ნაშრომი (D) (M) (P) | * | * | * |

| № | ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | ცოდნა და გაცნობიერება | უნარი | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლიდერობა და გუნდის მართვა (D) | * | * | * |
| 2 | ბიზნესის ეთიკა (D) | * | * | |
| 3 | მონაცემთა ანალიზი და ბიზნესმოდელირება (M) (P) | * | * | |
| 4 | საერთაშორისო ბრენდმენეჯმენტი (D) (M) | * | * | * |
| 5 | გაყიდვების მენეჯმენტი (D) (M) | * | * | |
| 6 | რისკების მენეჯმენტი და დაზღვევა (D) | * | * | |
| 7 | სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა (D) | * | * | |
| 8 | ბიზნესსსამართალი (I) | * | * | |
| 9 | ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები (D) | * | * | |
| 10 | გადასახადები და მოსაკრებლები (D) | * | * | |
| 11 | მდგრადი განვითარება და ცირკულარული ეკონომიკა (I) | * | * | * |
| 12 | ეკონომიკური პოლიტიკა (D) | * | * | |
| 13 | სახელმწიფო შესყიდვები (I) | * | * | |
| 14 | საჯარო და კერძო თანამშრომლობა (I) | * | * | |
| 15 | შრომის სამართალი და შრომითი ურთიერთობები (I) | * | * | * |
| 16 | პრაქტიკა (D) (M) (P) | * | * | * |